წერილის ნომერი:**37-37230394**
თარიღი: **08/02/2023**

ადრესატი:

ნანა თავდუმაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს აპარატი-საკრებულოს აპარატის უფროსი

პატივცემულო კოლეგებო, დამსწრე საზოგადოებავ,

ინტერნეტ მაყურებელო, მოწვეულო სტუმრებო,

მაქვს პატივი, წავრსდგე თქვენს წინაშე და წარმოგიდგინოთ 2021-2025 წლეების მოწვევის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი წლის ანგარიში, რომელიც მოიცავს პერიოდს 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნული პერიოდი, დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, გამორჩეული იყო ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების სიმრავლით, რომელთა განხორციელების შედეგად თვისობრივად შეიცვალა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ყოფის პირობები. ჩემი ღრმა რწმენით, მიმდინარე 2023 და შემდგომი წლები უფრო მეტი წარმატების მომტანი იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის და რა თქმა უნდა მთლიანად ქვეყნისათვის. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზი ცალსახად ადასტურებს, რომ მმართველი პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ არის ის ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის სტაბილურობას და საქართველოს ევროპულ მომავალს.

პატივცემულო კოლეგებო, საკრებულოს უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, მტკიცედ ვხელმძღვანელობდი საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნებით, დადგენილი ნორმებითა და დებულებებით.

საანგარიშო პერიოდში საკრებულო ძირითადი პრინციპების შესაბამისად (კანონიერება, საჯაროობა, კოლეგიალურობა, დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა, წარმომადგენლობითი პრინციპების დაცვა, თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა, ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე) ახორციელებდა თავის საქმიანობას.

ჩემთვის, როგორც საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს სამართლიანობა, ადამიანური ღირებულებების პატივისცემა, პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა, მუნიციპალიტეტის სწრაფი ტემპებით განვითარების უზრუნველყოფა.

ქალბატონებო და ბატონებო, როგორც თქვენთვის ცნობილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულო შეიკრიბა კანონით განსაზღვრულ ვადებში და ფუნქციონირებას შეუდგა 2021 წლის 3 დეკემბრიდან. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა კიდევ ერთხელ გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ მხარი დაუჭირეთ ჩემს კანდიდატურას საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შეიცვალა საკრებულოს ორგანიზაციული სტრუქტურა, კერძოდ არჩეული იქნა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და 2 მოადგილე, მათ შორის ერთი ქალბატონი. ზემოთ აღნიშნული კოდექსის მოთხოვნის გათვალისწინებით საკრებულოში ფუნქციონირებს 3-ფრაქცია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის V-მოწვევის საკრებულო მრავალპარტიულია. სულ საკრებულოში არჩეულია 45 წევრი, მათ შორის პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“-ს წევრია - 30, პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წარმოდგენილია - 4 წევრით, ხოლო პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 11 წევრით.

პატივცემულო კოლეგებო, სტუმრებო, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად მე, ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში, საერთო კოორდინაციას ვუწევ საკრებულოს საქმიანობას, მათ შორის ვხელმძღვანელობ საკრებულოს საქმიანობის დაგეგმვას, წარვმართავ საკრებულოსა და ბიუროს სხდომებს, ვასრულებ საკრებულოს წარმომადგენლობით ფუნქციებს, ვხელმძღვანელობ აპარატის ორგანიზაციულ საქმიანობას.

გასულ საანგარიშო პერიოდში გაიმართა:

- საკრებულოს 16 სხდომა;

- საკრებულოს ბიუროს 26 სხდომა;

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე მიღებული იქნა და გამოიცა:

- საკრებულოს დადგენილება - 34

- საკრებულოს განკარგულება - 68

- ბრძანება - 193

მიმდინარე მოწვევის საკრებულოს საქმიანობა საანგარიშო პერიოდში იყო საკმაოდ ნაყოფიერი. საკრებულო აქტიურად თანამშრომლობდა აღმასრულებელ ორგანოსთან, ერთობლივი მიზანდასახული და ეფექტური საქმიანობით მიღებული და განხორციელებული იქნა მუნიციპალიტეტისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებმაც ახლო და საშუალოვადიან პერსპექტივაში უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის სწრაფი და შეუქცევადი განვითარება. საკრებულომ შექმნა მყარი სამართლებრივი ბაზა, რომელმაც მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს რაციონალური ფუნქციონირება. საანგარიშო პერიოდში მკვეთრად გამოჩნდა აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების გუნდური პრინციპით მართვის ეფექტურობა. საკრებულოსა და აღმასრულებელ ორგანოს შორის ადრე არსებული დაპირისპირება გაქრა და ადგილი დაეთმო ურთიერთპატივისცემას, კოლეგიალობას, წამოჭრილი პრობლემებისა და უთანხმოების ცივილური წესით მოგვარებას. მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და აღმასრულებელი ორგანოს შორის თანამშრომლობის დამკვიდრებული დამოკიდებულების ფორმა და წესი სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და მაქსიმალურად არის მიზანმიმართული მუნიციპალიტეტის განვითარებაზე.

კოლეგებო! ჩვენთან და არა მხოლოდ ჩვენთან, დამკვიდრებულმა და კარგად აპრობირებულმა პრაქტიკამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ კანონშემოქმედებით მოღვაწეობას უთუოდ სჭირდება პროცედურების მაქსიმალურად დაცვა და პუნქტუალობა. მნიშვნელოვანია განსახილველი პროექტების მომზადებაში არამარტო მონაწილე და დაინტერესებული მხარეების, არამედ საკრებულოს თითოეული წევრის, მათ შორის უმცირესობის წარმომადგენლების მაქსიმალური ჩართულობა, რაც მკვეთრად ამცირებს ხარვეზებისა და შეცდომის დაშვების რისკებს. მოცემული მიმართულებით საკრებულოში არის ხარვეზები, რაც მომავალში აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. საკრებულოს უმრავლესობა მზად არის გადადგას კონსტრუქციული ნაბიჯები უმცირესობასთან მიმართებით, რა თქმა უნდა, თუ საპასუხო ადეკვატურ ქმედებებს შემოგვთავაზებს უმცირესობა.

კოლეგებო, პატივცემულო სტუმრებო,

საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულოს მორიგი სხდომები იმართება ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს. საკრებულოს 2022 წლისათვის ჰქონდა დამტკიცებული სამუშაო გეგმა, რომელსაც თან ახლავს ბიუროსა და საკრებულოს

სხდომების ჩატარების გეგმა-გრაფიკი. ცხადია, სამუშაო გეგმა დაფუძნებული იყო:

- მუნიციპალიტეტის 2022 წლის საფინანსო-საბიუჯეტო პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელებაზე;
- მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე,
- სხვადასხვა ფონდებიდან ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხიანად და დროულად განხორციელებაზე;
- განათლებისა და კულტურის სფეროს განვითარებაზე;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაზე, ჯანმრთელობის დაცვისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებაზე.

კოლეგებო! საკრებულოს საქმიანობის გეგმის სრულფასოვანი შესრულების მიზნით თქვენ ხართ ბიუროს შემადგენლობაში და ირიცხებით დარგობრივ კომისიებსა და ფრაქციებში.

მე, როგორც საკრებულოს რიგითი წევრი გაერთიანებული ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს შემადგენლობაში. ამასთან ერთად ვარ ერთ-ერთი დარგობრივი კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდში საკრებულომ თვისობრივადაც გააუმჯობესა თავის საქმიანობა და იგი მაქსიმალურად მიუსადაგა საკრებულოს რეგლამენტს. აღნიშნული ეხება საკრებულოს სხდომებზე განსახილველი საკითხების კომისიებში წინასწარ განხილვის პროცესებს, შესაბამისი დასკვნების მომზადებას, საოქმო ჩანაწერების წარმოებას და ა. შ.

პოზიტიურია ის, რომ საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა საკრებულოს სხდომებზე განსახილველი საკითხების ხელოვნურად გაჭიანურება ან/და შეფერხება, მაქსიმალურად ვცდილობთ, რაც შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში მოხდეს პროექტების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც საჯაროა და ადვილად ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

სწორედ, ასეთი დამოკიდებულება განაპირობებს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს ურთიერთკოორდინირებულ და ეფექტურ საქმიანობას. ამასთან ერთად, პროექტების განხილვის პროცესში რამდენიმეჯერ დაფიქსირდა მცირეოდენი პროცედურული დარღვევები, რომლებსაც სამართლებრივად არსებითი გავლენა არ მოუხდენია საბოლოო შედეგებზე. საანგარიშო პერიოდში საკრებულოსა და ბიუროს სხდომები მიმდინარეობდა გრაფიკისა და სამუშაო გეგმების შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში, უმცირესობის მხრიდან რეგლამენტის დარღვევით ჩადენილი ქმედებებით გამოწვეული უწესრიგობის აღკვეთის მიზნით, ორჯერ მოგვიწია საკრებულოს სხდომის შეწყვეტა და დაცვის პოლიციის გამოძახება.

პატივცემულო კოლეგებო, საანგარიშო პერიოდში კარგად იმუშავეს მუდმივმოქმედმა დარგობრივმა კომისიებმა. საკრებულოში სულ ფუნქციონირებს 5 მუდმივმოქმედი კომისია, რომელთა თავმჯდომარეები ეფექტურად წარმართავენ მათ საქმიანობას. ეს კომისიებია:

1. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - თავმჯდომარე ბატონი გელა ჩავლეშვილი.
2. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია - თავმჯდომარე ბატონი ბექა თოიძე.
3. აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - თავმჯდომარე ბატონი დავით ჭაკნელიძე
4. სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია - თავმჯდომარე ბატონი პაატა კიღურაძე.
5. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია - თავმჯდომარე ქალბატონი ქეთევან ხომერიკი.

მე არ შევუდგები კომისიების მიერ განხორციელებული საქმიანობის დეტალურ მიმოხილვას, ისინი ამას თავად გააკეთებენ მიმდინარე საკრებულოს სხდომაზე. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ კომისიებმა მათი უფლებამოსილების განხორციელებისას მაქსიმალურად უზრუნველყვეს რეგლამენტით დადგენილი ნორმების დაცვა, რაც უთუოდ მისასალმებელია. კომისიის თავმჯდომარეებს მადლობა მინდა გადავუხადო თანადგომისათვის.

საკრებულოში ფუნქციონირებს 3 ფრაქცია. ისინი თავისი საქმიანობის განხორციელებას ეწევიან ფრაქციების პოლიტიკური პლატფორმით გათვალისწინებული სამოქმედო პროგრამების შესაბამისად. მე, როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - წევრი, აღვნიშნავ, რომ ფრაქცია აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში. აღნიშნულ ფრაქციას ხელმძღვანელობს, ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი, უნარიანი, მიზანდასახული და ეფექტური, საკრებულოს წევრი - მარიკა ჩხიკვიშვილი. მეტი კონსტრუქციულობა, მმართველ ძალასთან თანამშრომლობის ფორმების და მეთოდების დახვეწა მართებს ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობა“-ს (თავმჯდომარე დავით მჟავანაძე) და ფრაქცია „ოზურგეთი საქართველოსთვის“ (თავმჯდომარე ალეკო ბურჭულაძე).

საანგარიშო პერიოდში შესანიშნავად იმუშავეს სამაჟორიტარო ოლქებიდან არჩეულმა საკრებულოს წევრებმა. ისინი აქტიურები არიან, არა მხოლოდ საკრებულოს საკანონმდებლო საქმიანობაში, არამედ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში დღენიადაგ ზრუნავენ მოსახლეობის ყოველდღიური პრობლემების მოგვარებისათვის. ისინი, ასევე, აქტიურად მონაწილეობენ კონკრეტულ დასახლებებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებში.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები თითქმის სრულად მოიცავს და გამომდინარეობს, უშუალოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსიდან და საკრებულოს საქმიანობის რეგლამენტიდან. მათ შორის მნიშვნელოვანია:

- მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მომსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება;
- მუნიციპალიტეტის მერიის დებულების და სამსახურების უფროსების დებულებების დამტკიცება;
- საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცება;
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცება;
- მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენა;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცება და ა. შ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო 2022 წელი. 2022 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ თითქმის 65 მილიონ ლარს მიაღწია. აღნიშნული მაჩვენებელი ჯერჯერობით ისტორიული მიჯნაა, რომელიც მომავალში უფრო გაიზრდება. საკრებულოს მიერ მოწონებული და დამტკიცებული პროექტების განხორციელების შედეგად მუნიციპალიტეტში:

- მნიშვნელოვნად გაიზარდა საგზაო ინფრასტრუქტურა;

- მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სასმელი წყლის სისტემის სამშენებლო სამუშაოების მიმართულებით;

- აქტიურად მიმდინარეობდა საზოგადოებრივი სივრცეების, სკვერებისა და პარკების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები;

- მნიშვნელოვანი წინსვლა დაფიქსირდა საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების მშენებლობა - რეაბილიტაციის მიმართულებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბინათმშენებლობის ფარგლებში, მრავალსართულიანი სახლების ფასადების კეთილმოწყობის მიზნით დაწყებული სამუშაოები (მაგ: ქალაქის ცენტრალური ნაწილი);

- არ შენელებულა სოფლის მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების ტემპები,

- მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიმართულებით.

- განხორციელდა გეოგრაფიული ობიექტების სახელდების სამუშაოები. 10-მდე უსახელო ქუჩა იქნა სახელდებული;

- საკრებულომ მიიღო 5 განკარგულება საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის თაობაზე. განკარგულების დამტკიცების საფუძველი იყო მათზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მიღებული შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები;

- საანგარიშო პერიოდში 8-ჯერ მიეცა მერს თანხმობა ქონების სარგებლობით უფლებით გადაცემაზე, ხოლო 4 განკარგულება დამტკიცდა ქონების სხვა სახელმწიფო უწყებისათვის გადაცემის შესახებ.

სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა კიდევ ერთი პრიორიტეტული მიმართულებით - დასუფთავება. შესაბამისი სამსახური აღიჭურვა ახალი ტექნიკით, ინვენტარით და შესაბამისი ფორმის ტანსაცმლით.

საანგარიშო პერიოდში საკრებულომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მნიშვნელოვანი სამართლებრივი ბაზა შეუქმნა აღმასრულებელ ხელისუფლებას განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროექტების განხორციელებისათვის. აქტიურად მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ახალი სკოლების მშენებლობა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების მშენებლობა - რეაბილიტაცია. წინა წლების მსგავსად, საანგარიშო წელსაც შენარჩუნდა 100%-იანი სახელმწიფო გრანტების გამარჯვებული სტუდენტების წახალისებისა და სტიმულირების პროექტი, მომზადდა და დამტკიცების სტადიაშია წარჩინებული სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნის წესი, რომელიც მოიცავს სტუდენტის სწავლების სრულ პერიოდს. ანაზღაურება გაეზარდათ საბავშვო ბაგა-ბაღების პერსონალს და ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება.

საკრებულო სერიოზულად იღწვის თავისივე ინიციატივის „თვითმმართველობა განათლებისათვის“ პროგრამის სრულყოფა-განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტმა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უზრუნველყო ახალგაზრდა მეწარმეთა მრავალი პროექტის დაფინანსება.

საკრებულოს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია გენდერული მიმართულება. საანგარიშო პერიოდში საკრებულომ დაამტკიცა გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმა და პერსონალური შემადგენლობა. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ყველა პროგრამაში გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები. გენდერული საქმიანობის სრულყოფის საქმეში გამოცდილების შეძენის მიზნით

რამოდენიმე ვიზიტი განხორციელდა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც.

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს უშუალო ჩართულობით განხორციელდა რიგი აქტივობები, კერძოდ:

- შშმ პირების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით - ბენეფიციარებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები;

- „ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით დაბა ნასაკირალში გაიმართა ღონისძიება;

- სოციალურად დაუცველ ნიჭიერ სტუდენტს გაეწია ფულადი დახმარება;

- ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო ნარინჯისფერი მსოფლიო კამპანიის ფარგლებში გამართულ უფროსკლასელთა გამოფენის მონაწილეებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები;

საანგარიშო პერიოდში საკრებულომ დაამტკიცა ოზურგეთის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი. სოციალური პროგრამების მიმართულებით ამოქმედდა 19 პროგრამა. სოციალური დახმარების პროგრამებმა იმუშავეს საკმაოდ ეფექტურად, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოციალურად დაუცველ ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიკური პირობების შემსუბუქებას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო მრავალი წელია შეუერთდა “OGP-ღია მმართველობა პარტნიორობა“-ს მუნიციპალიტეტმა განახორციელა რიგი პროექტები OGP-ფარგლებში და იგი ამ მიმართულებით ერთ-ერთი მოწინავეა, არა მხოლოდ ქვეყნის მასშტაბით. მიზანშეწონილად მიმაჩნია, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ერთიანი სამუშაო შეხვედრის ორგანიზება ახლო ვადებში, ღია მმართველობის რეფორმის ფარგლებში არსებული გამოწვევების გადაწყვეტის მიზნით.

მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერების უზრუნველყოფის მიზნით კვლავ იყენებს ისეთ ქმედით ინსტრუმენტებს, როგორიცაა:

- საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია;

- მოსახლეობის ინფორმირება სმს საშუალების გამოყენებით;

- ელექტრონული პეტიცია;

- თანამონაწილეობითი ბიუჯეტი - იყავი თანამმართველი.

სულ საანგარიშო პერიოდში შემოსულია 3 პეტიცია, მათ შორის დაკმაყოფილდა ერთი, ერთი უარყოფილია და ერთიც გადაგზავნილია მუნიციპალიტეტის მერიაში შესაბამისი რეაგირების მიზნით.

მე, როგორც საკრებულოს წევრს და საკრებულოს თავმჯდომარეს მაქვს მოქალაქეებთან და ამომრჩევლებთან შეხვედრისა და მიღების რეგლამენტით განსაზღვრული ვალდებულებები, რომლებსაც ვასრულებ ზედმიწევნით კარგად. დადგენილი ფორმატით ვაბარებ ანგარიშს, როგორც ამომრჩევლებს, ასევე საკრებულოს.

საკრებულოს ნორმალური ფუნქციონირება ვერ იქნება უზრუნველყოფილი საკრებულოს აპარატის გამართული საქმიანობის გარეშე. აპარატის საქმიანობის ზედამხედველობასა და კონტროლს ვახორციელებ პირადად. უნდა აღვნიშნო, რომ საანგარიშო პერიოდში აპარატმა (ხელმძღვანელი ნანა თავდუმაძე) ძირითადად კარგად გაართვა თავი დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას, თუმცა გვქონდა გარკვეული პრობლემები აპარატის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვისა და სხვადასხვა სახის აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფის საქმეში.

მოკლედ მოგახსენებთ, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მომავალში

გასატარებელ ღონისძიებებზე, რომლებმაც მნიშვნელოვანწილად უნდა უზრუნველყოს საკრებულოს ეფექტური ფუნქციონირება, ესენია:

1. საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა აწარმოებდნენ საზედამხედველო საქმიანობას, უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ შეკითხვის დასმის უფლებას.

2. საკრებულომ მაქსიმალურად უნდა შეამციროს რიგგარეშე სხდომების რაოდენობა, რათა ინტერესთა ჯგუფების მობილიზების ხარისხი გაუმჯობესდეს. უნდა გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა, უფრო სრულყოფილი გახდეს სხდომაზე განსახილველი საკითხების მომზადების ხარისხი და გაიზარდოს საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობა.

3. საკრებულოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს კარგად აღჭურვილი სხდომათა დარბაზი, სადაც შესაძლებელი იქნება სხდომების ნორმალურ რეჟიმში ჩატარების უზრუნველყოფა.

და ბოლოს, პატივცემულო კოლეგებო, მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს პოლიტიკურ გუნდს, „ქართულ ოცნება“-ს მხარდაჭერისთვის, ოზურგეთის სახელით მადლობა საქართველოს პრემიერ- მინისტრსა და მთავრობას ჩვენი მუნიციპალიტეტის უპრეცედენტო მხარდაჭერისთვის. ნაყოფიერი საქმიანობისთვის მადლობა ვუთხრა, საკრებულოს წევრებს, ჩემს მოადგილეებს, აპარატის გუნდს გაწეული მუშაობისთვის, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციას, აღმასრულებელ ორგანოს - მერს ავთანდილ თალაკვაძესა და მის გუნდს კოორდინირებული საქმიანობისთვის, საქართველოს პარლამენტში გურის მაჟორიტარ-დეპუტატს და მის ბიუროს ოზურგეთში. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ურთიერთანამშრომლობით მომავალშიც ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ.

მადლობა, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს თანამშრომლობისთვის. სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა, ობიექტური მიდგომები ჩვენ გვეხმარება საქმიანობაში.

ხელისუფლების წყარო კი ხალხია, რომელიც გვანიჭებს ნდობის მანდატს და რომლის წინაშეც ვართ ანგარიშვალდებულები. ჩვენი საქმიანობის მთავარი მიზანი, სწორედ, თქვენი ნდობის გამართლებაა, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის წინსვლასა და წარმატებას ნიშნავს.

გმადლობთ ყურადღებისათვის!

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე